



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 206



2013 წლის 27 დეკემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის
პროგრამის დამტკიცების შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16
მუხლის მე-2 პუნქტის “ქ” ქვეპუნქტის შესაბამისად

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის 2014 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით **129360** (ასოცდაცხრაათასსამასსამოცი) ლარით.
2. კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის უზრუნველყოფა დაევალოს ხაშურის ა.ა.ი.პ. კულტურის ცენტრების გაერთიანების მმართველს.
3. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ. ხაშური კოსტავას ქ. #13).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შემდეგ ობიექტებს: ქ. ხაშური _ 2 კულტურის ცენტრს, (რუსთაველის ქ.#6 და თამარ მეფის ქ.#14), დაბა სურამში _ კულტურის ცენტრს, სოფელ ქვიშხეთში _ კულტურის ცენტრს.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაცია.

ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა.

კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა, მათი ხელშეწყობა და წახალისება.

თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწყობა.

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 129 360 ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიის ოდენობა
1	შრომის ანაზღაურება	112584
2	საქონელი და მომსახურება	16776
	სულ	129 360

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

ხელოვნების, აგრეთვე ქართული ფოლკლორის განვითარება და პოპულარიზაცია.

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარება და ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობის ზრდა.

ახალგაზრდობის ჩამოშორება ქუჩის მავნე ჩვევებისაგან, მათი გემოვნების დახვეწა და ინტელექტუალური შესაძლებლობები

შეფასების ინდიკატორი:

ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;

კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;

კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.